ეს ერთი და...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 12 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ ცსკა 1:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი, მესხი.

ცსკა: კუდასოვი, ისტომინი, შეტერნიოვი, ბაგრიჩი, კაპლიჩნი, პანოვი, დუდარენკო, პოლიკარპოვი, ფედოტოვი, შულიატიცკი, ვარგა.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

სტადიონის სათამაშო მინდორზე არ ჩანდა წყლის გუბეები, მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ მწვანე ბალახი ტალახმა დაფარა და ცხადი შეიქნა, რომ ასეთ გრუნტზე თამაში გაძნელდებოდა. მართლაც, ფეხბურთელთა მიერ დაშვებული ხშირი ლაფსუსების გასამართლებლად უნდა ვთქვათ, რომ ჭირდა არა თუ ბურთის ზუსტი დამუშავება, ხშირად ძნელი იყო წონასწორობის შენარჩუნებაც.

მიუხედავად ამისა, მატჩს არ აკლდა ტემპი. ორივე გუნდი მოქმედებდა სწრაფად, ენერგიულად და ბრძოლას შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა. თბილისელებმა რატომღაც არჩიეს მჭიდრო პერსონალური დარაჯობა (სიჭინავა-დუდარენკო, ცხოვრებოვი-ვარგა, ხურცილავა-ფედოტოვი), ეს წყვილები მოუცილებლად მოძრაობდნენ მთელ მინდორზე და ჩვენს გუნდს დაერღვა მთლიანობა საკუთარ ნახევარზე. ამას დაემატა არარაციონალური თამაში თავდასხმაში, მეტრეველი ისევ მხოლოობით რიცხვში ამაოდ ცდილობდა ფონს გასვლას, არც ნოდია აპირებდა კოლექტივიზმის პრინციპებს დამორჩილებოდა, ხოლო მესხი საერთოდ გამოთიშული აღმოჩნდა პარტნიორებს და ისეთი დიდი ინტერვალებით ღებულობდა ბურთს, რომ პირველი ტაიმი ძირითადად სტატისტის როლში გაატარა.

ეს შეცდომები გამოსწორებულ იქნა შესვენების შემდეგ. მესხი აქტიურად ჩაება შეტევაში, შედარებით მოწესრიგდა კომბინაციური გადაცემები ცენტრში, მოქმედების მეტი თავისუფლება მიეცა ხურცილავას.

თბილისელთა გოლი გატანილ იქნა 46-ე წუთზე. კუტივაძემ კარგად გადასცა ბურთი მეტრეველს, რომელიც სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე (ამ მომენტში იგი თავის ამპლუაში იყო) და შორეული ძელისკენ გადააწოდა ბურთი. მესხმა ბოლო მომენტში მიუსწრო მას და თავით ძლიერად დაარტყა _ 1:0.

დინამოელებმა მატჩის შემდგომი მსვლელობა წარმართეს ისე, რომ შეენარჩუნებინათ გამარჯვება. მართალია, ურუშაძეს ორჯერ მოუხდა ძნელი ბურთის აღება, მაგრამ დანარჩენ შემთხვევაში დაცვა მოწოდების სიმაღლეზე იდგა. არმიელები მაქსიმალური მონდომებით იბრძოდნენ საპასუხო გოლის გასატანად, განსაკუთრებით ბოლო 10 წუთს, მაგრამ თბილისელებმა შეინარჩუნეს ანგარიში და პირველი გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

ბ. ქორიძე.
“ლელო”, 13 აპრილი, 1967 წ.